საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №1105

თბილისი „08“ 10 2015 წ

სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ფონდების აღრიცხვისა და მასში არსებულ სიძველეთათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად წინადადებების შემუშავების მიზნით უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის N37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) უფროსის 2015 წლის 07 ოქტომბრის N1034134 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ფონდების აღრიცხვისა და მასში არსებულ სიძველეთათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად წინადადებების შემუშავების მიზნით შეიქმნას უწყებათაშორისი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **თამაზ მარსაგიშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მინისტრის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;
ბ) **ფერიდე კვაჭანტირაძე** - ფილოლოგი, ბიბლიოგრაფი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
გ) **თამარ იმნაძე** - სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ისტორიკოსი, ხელნაწერების სპეციალისტი - კომისიის მდივანი;
დ) **ღევან ხარატიშვილი** - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე;
ე) **ელენე კავლელაშვილი** - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ხელოვნებათმცოდნე, სამუზეუმო საქმის სპეციალისტი;

ვ) **თეონა იაშვილი** - სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი, გენერალური დირექტორი;
ზ) **დალი ჩიტუნაშვილი** - სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფილოლოგი, ხელნაწერების სპეციალისტი;
თ) **ვლადიმერ კეკელია** - სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ისტორიკოსი, ხელნაწერების სპეციალისტი;
ი) **გონელი არახამია** - სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, სამეცნიერო-საორგანიზაციო სამსახურის უფროსი;
კ) **ლიანა სამყურაშვილი** - სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, არაბისტი, ტექსტოლოგი, ხელნაწერების სპეციალისტი;
ლ) **მზექალა შანიძე** - აკადემიკოსი, ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ხელნაწერების ექსპერტი;
მ) **აპოლონ სილაგაძე** - აკადემიკოსი, არაბისტი, ქართველოლოგი;
ნ) **დავით მუსხელიშვილი** - აკადემიკოსი, საქართველოს ისტორიის სპეციალისტი;
ო) **ნანა ხაზარაძე** - აკადემიკოსი, საქართველოს ისტორიის სპეციალისტი;
პ) **ციალა გაგნიძე** - ფილოლოგი, ხელნაწერების დიგიტალიზაციის სპეციალისტი;
ჟ) **თამარ იაშვილი** - ისტორიული ძეგლების ბიოდაზიანებების კვლევისა და პრევენციის სპეციალისტი;
რ) **ვალერიან ვაშაკიძე** - საქართველოს ისტორიის სპეციალისტი, წყაროთმცოდნე;
ს) **პაატა გაფრინდაშვილი** - სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, გენერალური დირექტორის მოადგილე;
ტ) **ქეთო ასათიანი** - სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი, სამეცნიერო განყოფილების გამგე;
უ) **დარეჯან გოგაშვილი** - სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ფონდების მართვის დეპარტამენტის ფოტოსა და ქაღალდის მასალის სარესტავრაციო ჯგუფის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;
ფ) **არჩილ კოხრეიძე** - სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისის მეცნიერ - თანამშრომელი;
ქ) **ლევან რატიანი** - ა(ა)იპ - საქართველოს საგვარეულოთა კავშირი - გვარი და გვარიშვილობა, სამეცნიერო საბჭოს წევრი, მეცნიერ-მკვლევარი.

2. დამტკიცდეს სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ფონდების აღრიცხვისა და მასში არსებულ სიძველეთათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად წინადადებების შემუშავების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თამარ სანიკიძე

შემსრულებელი:
სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

_____ 07.10.2015 /სალომე ჯაფარიძე/

შეთანხმებულია:
სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსთან

_____ 09.10.2015 /ლანა ხუნაშვილი/

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსთან

_____ 08/10/15 /ეკა კენჭაძე/

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელთან

_____ /ირინე დარჩია/|

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსთან

_____ /ლაშა საღინაძე/

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსთან

_____ 08.10.2015 /დავით ლომინაშვილი/

მინისტრის მოადგილესთან

_____ /გიორგი შარვაშიძე/

ბრძანება გაეგზავნოს:
1. სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს;
2. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტს;
3. ეკონომიკურ დეპარტამენტს;
4. შიდა აუდიტის დეპარტამენტს;
5. სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს (ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომისიის წევრებისათვის გაცნობის მიზნით).

დანართი

სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ფონდების აღრიცხვისა და მასში არსებულ სიძველეთათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად წინადადებების შემუშავების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდების აღრიცხვის და მასში არსებულ სიძველეთათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად წინადადებების შემუშავების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში - უწყებათაშორისი კომისია) მუშაობის წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს უწყებათაშორისი კომისიის ვალდებულებებსა და მუშაობის წესს.

2. თავის საქმიანობაში უწყებათაშორისი კომისია ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ წესით.

მუხლი 2. უწყებათაშორის კომისიის შემადგენლობა

1. უწყებათაშორისი კომისია შედგება უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილისა და უწყებათაშორისი კომისიის წევრებისაგან.

2. უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობაში, უწყებათაშორისი კომისიის სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, შეიძლება მონაწილეობა მიიღონ სხვა სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, შესაბამის სფეროში მომუშავე ექსპერტებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა (შემდგომში - მოწვეული პირები).

3. უწყებათაშორისი კომისიის სხდომების ორგანიზებასა და უწყებათაშორისი კომისიის სხდომის თავმჯდომარის მიერ გაცემულ დავალებათა შესრულების კონტროლს უზრუნველყოფს უწყებათაშორისი კომისიის მდივანი. უწყებათაშორისი კომისიის მდივნის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს უწყებათაშორისი კომისიის სხდომის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული პირი.

4. უწყებათაშორისი კომისია, ცალკეული საკითხების შესწავლისა და შესაბამის გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადების მიზნით, უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

მუხლი 3. უწყებათაშორისი კომისიის წევრის/მოწვეული პირის ვალდებულება და ინტერესთა კონფლიქტი

1. უწყებათაშორისი კომისიის წევრი/მოწვეული პირი ვალდებულია:

ა) დაიცვას და მოუფრთხილდეს სსიპ -კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებს და მასში არსებულ სიძველეებს;

ბ) არ დააზიანოს ან არ შეუქმნას სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებს და მასში არსებულ სიძველეებს ამის საფრთხე, არ შეამციროს მისი კულტურული ან ისტორიული ღირებულება, არ გამოიწვიოს მისი ავთენტიკური ელემენტების ცვლილებები;

გ) ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარეს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული გარემოების არსებობა და განაცხადოს თვითაცილება.

2. უწყებათაშორისი კომისიის წევრი/მოწვეული პირი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც გააჩნია რაიმე სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერესი სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდებსა და მასში არსებულ სიძველეებთან დაკავშირებით.

მუხლი 4. უწყებათაშორისი კომისიის ვალდებულება

უწყებათაშორისი კომისია ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სსიპ -კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ფონდების აღრიცხვის წესის შემუშავება და დამტკიცება;

ბ) 2016 წლის პირველ იანვრამდე უზრუნველყოს:

ბ. ა) სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდების აღრიცხვა;

ბ. ბ) სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებულ სიძველეთათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად წინადადებების შემუშავება და მისი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოთვის წარდგენა.

მუხლი 5. უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის წესი

1. უწყებათაშორისი კომისია თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სხდომების მეშვეობით.

2. უწყებათაშორისი კომისიის სხდომა მოიწვევა უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით ან კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მოთხოვნით.

3. უწყებათაშორისი კომისიის სხდომას უძღვება უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

4. უწყებათაშორისი კომისიის სხდომის დღის წესრიგს, უწყებათაშორისი კომისიის მდივნის წარდგინებით, ამტკიცებს უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე.

5. უწყებათაშორისი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება უწყებათაშორისი კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. უწყებათაშორისი კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6. უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანა-ბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია უწყებათაშორისი კომისიის სხდომის თავმჯდომარის ხმა.

7. უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე და უწყებათაშორისი კომისიის მდივანი.

8. უწყებათაშორისი კომისიის წევრის მოსაზრება შეიტანება უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმში. მოსაზრების წერილობითი ფორმით წარმოდგენის შემთხვევაში, იგი ერთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმს.

9. უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმი ფორმდება უწყებათაშორისი კომისიის სხდომის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა და სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებულ სიძველეთათვის კულტურული

მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ შემუშავებულ წინადადებებთან ერთად წარედგინება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

მუხლი 6. უწყებათაშორისი კომისიის მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსათვის წინადადებების წარდგენა

უწყებათაშორისი კომისია, სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებულ სიძველეთათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ შემუშავებულ წინადადებებს წარუდგენს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს, სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში არსებულ სიძველეთათვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვის მიზნით.

მუხლი 7. უწყებათაშორისი კომისიის წევრების მუშაობის ანაზღაურება

უწყებათაშორისი კომისიის წევრების მუშაობა შეიძლება ანაზღაურდეს სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 8. უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

უწყებათაშორისი კომისიის მუშაობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.